**ადრესატი:**

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682528894**
თარიღი: **15/10/2025**

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის

## ანგარიში

## 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2025 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, წლის განმავლობაში განხორციელებულ საბიუჯეტო ცვლილებებს, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას, ბუღალტრულ აღრიცხვას.

სამსახური საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციის“, საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს , საქართველოს კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“, საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანების ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 424 ბრძანების ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის (სა.თე.ფა) სწავლებაში. ასევე სისტემატიურად მონაწილეობენ საინვენტარიზაციო და სოციალური დაცვის კომისიებში. სამსახურის თანამშრომლები ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგ კურსებში და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, ასევე მერიის სხვადასხვა სამსახურებთან, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებთან.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კურატორობას უწევს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული საფინანსო-საბიუჯეტო პროცესში, ხელმძღვანელობს საბიუჯეტო ცირკულარს და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამას. ასევე დახმარებას უწევს ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვას. მონაწილეობს და აკონტროლებს საპასუხისმგებლო ანგარიშების და დავალებების შესრულებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოში საფინანსო სამსახურთან ერთად წარადგენს ბიუჯეტის პროექტს, საბიუჯეტო ცვლილებებს, ბიუჯეტის გეგმა-შესრულების ინფორმაციას კვარტლების მიხედვით და ანგარიშს წლიური ბიუჯეტის გეგმა-შესრულების მიხედვით.

საფინანსო- საბიუჯეტო სამსახური დაკომპლექტებულია რვა ძირითადი და

ორი შტატგარეშე თანამშრომლისაგან. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი ერთი ერთეული. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი ორი ერთეული. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ერთი ერთეული, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ერთი ერთეული, მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი სამი ერთეული და ხელშეკრულებით მომუშავე ორი სპეციალისტი, რომლებიც დასაქმებულები არიან ორივე განყოფილებაში.. ფუნქციები გადანაწილებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებით, პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში ჩართულობის შესაბამისად.

სამსახურში არის ორი განყოფილება. საფინანსო-სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილება. საფინანსო-სახაზინო განყოფილებაში მუშაობს სამი თანამშრომელი, სადაც ხდება ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, ყოველგვარი საბიუჯეტო ცვლილებების ასახვა, გეგმა-შესრულების ანგარიშების მომზადება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სერვიზების პორტალში **eBudget. Ge** მუშაობა.

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება, სადაც მუშაობს ხუთი თანამშრომელი, რომლებიც ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში გადახდებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით, ახდენენ საბიუჯეტო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვას. ასევე მუშაობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სერვისების პორტალში **eTreasury**, შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე www.rs.ge და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე www.geostat.ge.

**1.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო-სახაზინო განყოფილებას** საანგარიშო პერიოდში 8 ოქტომბრის მდგომარეობით საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის **MS DOC** საშუალებით განსახილველად მიღებული აქვს 1208 დავალება, აქედან საბიუჯეტო ცვლილებების კუთხით მომზადებული იქნა 2024-2025 წლების საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტის ცვლილებების რვა პროექტი მათ შორის, 2024 წელს სამი და ხუთი მიმდინარე წელს, რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს - პრიორიტეტების პროგრამებსა და ქვეპროგრამების ასიგნებების გასაზრდელად. ხოლო დანარჩენი ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანებებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N 4 დადგენილებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს, კოდებსა და კვარტლებს შორის გადანაწილების წესის მიხედვით. ამასთან, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი სახსრების დაუყოვნებლივად ასახვის მიზნით გამოცემული ბრძანებები ორჯერ გაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. შ მიმდინარე 2025 წლის). გარდა ამისა გასული წლის 08 ოქტომბრიდან დღემდე აღსრულდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მერის 38 ბრძანება ( 10.2024 წლის და 10.2025 წლის). 36 მომართვა არის დაკმაყოფილებული ა(ა)იპ-ების მიერ საკუთარი შემოსავლების ასახვის, ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდებსა და კვარტალური ცვლილებების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ არის ასახული ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

საფინანსო-სახაზინო განყოფილება ძირითადად წარმართავს საბიუჯეტო პროცესს, რომელიც გრძელდება ორი წლის განმავლობაში, იწყება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 10 თვით ადრე (ყოველი წლის 1 მარტს) ბიუჯეტის პროექტის მომზადებით და მთავრდება საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის არაუგვიანეს მაისისა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებით.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაეგზავნა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული პრიორიტეტების დოკუმენტის, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანართებით. წარმოდგენილი პროექტით

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა შემოსულობებში 18 490,6 ათას ლარს; ხარჯებში 19 490,6 ათას ლარს. ბიუჯეტის დასაბალანსებლად პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა საკუთარი საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ნაშთიდან 1000,0 ათასი ლარი.

ცირკულარის მიერ გათვალისწინებულ ვადებში დაიწყო მუშაობა საკრებულოს მიერ 2025 წლის დაბრუნებულ ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების გასათვალისწინებელი დაფინანსების წყაროების გამოსაძებნად. ფინანსური რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად მოხდა რეაგირება აღნიშნულ შენიშვნებზე. რის შემდეგაც პროექტის შესწორებული ვარიანტი შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით კვლავ გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც საყოველთაო განხილვების შემდეგ 2025 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა 2025 წლის 17 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 25 დადგენილებით. ამასთან შენიშვნების ნაწილი მთლიანად იქნა გათვალისწინებული 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნებულ ვარიანტში რის შედეგადაც პირველად წარმოდგენილი ბიუჯეტი შემოსავლებში გაიზარდა 1276.7 ლარით, მ. შ. 1176,7 ათასი ლარით გადასახადების გეგმის გაზრდით და 100,0 ათასი ლარით მიზნობრივი ტრანსფერის გეგმის გაზრდით და განისაზღვრა 19 767,3 ათასი ლარი, ხოლო ხარჯები გაიზარდა 792,0 ათასი ლარით (მათ შორის 692,0 ათასი ლარით შენიშვნების გათვალისწინებით; ხოლო 100,0 ათასი ლარი პერსონალური ასისტენტის პროგრამის ხარჯზე და განისაზღვრა 20 282,6 ათასი ლარით, ბიუჯეტის დასაბალანსებლად გამოყენებულ იქნა საკუთარი საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ნაშთიდან 515,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი დადგენილ ვადაში შეტანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემის ერთიან ბაზაში **ebudget. Ge.** დაწესებულ ვადებში მომზადდა 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების კვარტალური განწერა თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით.

ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იქნა მომზადებული და წარდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში და 2025 წლის სამი და ექვსი თვის ბიუჯეტების გეგმა-შესრულების შესახებ ინფორმაციები. ამჟამად მიმდინარეობს ცხრა თვის გეგმა-შესრულების ინფორმაციის მომზადება.

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 19 767,3 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად გაიზარდა 11 032.0 ათასი ლარით და განისაზღვრა **30.799.3** ათასი ლარით. შემოსულობების ზრდა მთლიანად გრანტების ხარჯზე განხორციელდა.

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) 20 282,6 ათასი ლარი წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად გაიზარდა 16 306,6 ათასი ლარით და განისაზღვრა **36 589,2** ათასი ლარით. გადასახდელების გაზრდა მოხდა გრანტებიდან მიღებული 11 032,0 ათასი ლარით ასევე 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთებიდან გამოყენებული 5 274,6 ათასი ლარით. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთის გამოყენება მოხდა ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც 515,3 ათასი ლარით და საბოლოოდ სრულად გამოყენებული ნაშთი შეადგენს 5 789,9 ათასი ლარს (მ.შ. სახ. ფონდების ნაშთი 1 428,9 ათასი ლარი და 4 361,0 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად საბიუჯეტო ცირკულარის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა 2026 -2029 წლების ბიუჯეტის პროექტზე. დადგენილ ვადაში გამოცემულია 1 მარტის ბრძანება. მომზადებულია 2026 -2029 წლების პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტი, და 2025 -2029 წლების საშუალო-ვადიანი დოკუმენტი, შესაბამისი დოკუმენტაცია ატვირთულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე https://kharagaulinews.gov.ge.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2023 წლის 31 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, 2024 წელს განსაზღვრული ზოგადი პირობებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესრულებისათვის, კერძოდ საბიუჯეტო პროცესის წარმატებით გაწევისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტს კვლავ გამოეყო კაპიტალური გრანტი 300 000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საფინანსო-სახაზინო განყოფილება მერიის სამსახურების სხვადასხვა განყოფილებებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში.

**2. ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილების მიერ** საანგარიშო პერიოდში (2024 წლის 01 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით)საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის **MS DOC** საშუალებით შესასრულებლად და განსახილველად მიღებული აქვს 2895 დავალება, რის შემდეგაც განხორციელებულია გადარიცხვები საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია: (მუნიციპალიტეტის სამუშაო პროცესის წარმართვისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიზნით)

1) 300 ხელშეკრულება
2) 735 სხვა ვალდებულება
3) 2752 პირველადი დოკუმენტი,
4) 389 პაკეტი
5) 18794 საგადახდო მოთხოვნა.

განყოფილების მიერ ხდებოდა ანგარიშსწორებისათვის შემოსული პირველადი დოკუმენტების სისწორის შემოწმება, საჭირო დოკუმენტების მოძიება (ზოგიერთ შემთხვევებში), დოკუმენტაციის სრულყოფა. ასევე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შესაბამისი მუხლების დადგენა და ვალდებულებების რეგისტრაცია, ინვოისების დარიცხვა, საგადახდო მოთხოვნების განხორციელება, პაკეტების მომზადება.

მიმდინარე პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილება ახდენდა: საბანკო საავანსო გარანტიების საფუძველზე სამუშაოს შემსრულებელ კომპანიებზე წინასწარ ანგარიშსწორებას და ავანსების ვადების კონტროლს, წარმოდგენილი სამუშაოების მიხედვით საავანსო თანხების შემცირებას.

ახდენდა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, საავადმყოფო ფურცლის, საკრებულოს დეპუტატების ხარჯის დარიცხვასა და გაცემას. ასევე,სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე ახდენდა სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტებს და სხვადასხვა ტიპის ყოველთვიური და ერთჯერადი დახმარებების გადარიცხვებს.

ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ა(ა)იპ -ების მიერ საქ. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემის საფინანსო უწყების პორტალზე გადმოგზავნილი: ვალდებულებების , პაკეტების და საგადახდო მოთხოვნების (გაკონტროლებას (დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში) და სახელმწიფო ხაზინაში გაგზავნას. ამასთან ყოველთვიურად იღებდა ა(ა)იპ -ების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და უწევდა კონტროლს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2024-25 წლებში ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის საშუალებით იღებდა და ასრულებდა მუნიციპალიტეტის მერისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის დავალებებს. ასევე იღებდა და ასრულებდა სიტყვიერ დავალებებს და ამზადებდა სხვადასხვა საჯარო ინფორმაციებზე პასუხს.

ყოველთვიურად ახდენდა მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების აღრიცხვას და ანგარიშის მომზადებას.

ყოველ კვარტალში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აწვდიდა ინფორმაციას მერიისა და ა(ა)იპ-იების შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ, ასევე თანამშრომელთა რაოდენობისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

ახდენდა საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვას შესაბამისი პროექტების მიმდინარეობის ცხრილებში, თანხის მოთხოვნას ფინანსთა სამინისტროში ავანსებისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელად.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში დადგენილ ვადებში ყოველთვიურად აგზავნიდა თვის საშემოსავლო გადასახადისა და განაცემთა დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის დეკლარაციებს. ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე ყოველთვიურად დადგენილ ვადებში ახდენდა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა შრომის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეტანასა და გაგზავნას.

ახორციელებდა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრული რეესტრების შევსებას, მემორიალებში ასახვას და ბალანსის შედგენას, ასევე ბუღალტრული დოკუმენტაციის აკინძვასა და დაარქივებას.

აქტივების აღრიცხვისა და სრული ანალიზისათვის დაწყებულია ინვენტარიზაციის პროცესი და ამ მიმართულებით საბუღალტრო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სახის სამუშაოებს. IPSAS სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის **2024** წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თავისი განმარტებითი შენიშვნებით და წარვადგინეთ სახელმწიფო ხაზინაში.

ნინო მაღლაკელიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)